გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023-2024 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

მარნეულის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

   „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმა“ საერთაშორისო ფორუმი

2. **თემატიკა:**

   ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

   მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები, აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბი; კავკასიის საერთაშორისო კულტურული პროგრამების ბიურო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „იუნესკოს კათედრა“.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

მარნეულის მუნიციპალიტეტი:

მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 78 დასახლებაა, 77 სოფელი და 1 ქალაქი, ხოლო მუნიციპალიტეტის 10 დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. 2024 წლის მდგომარეობით მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახლოებით შეადგენს 109 000 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალეთნიკურია, სხვადასხვა ეროვნების–91 %, ქართველი – 9%. (სტატისტიკური მონაცემები მოცემულია დაახლოებით ციფრებში, რადგან ამ ეტაპზე მიმდინარეობს საყოველთაო აღწერა.)

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი:

საგარეჯო არის კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტი. მოსახლეობის რაოდენობა 51 761 ადამიანი.

ისტორიულად, მას გარე კახეთი და გარეჯის ქვეყანა ეწოდებოდა. XV საუკუნიდან საგარეჯო ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია ამ სახელით. XVII საუკუნეში შაჰ აბასის ლაშქრობით ტერიტორია განადგურდა, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით ონოფრე გარეჯელის ღვაწლით, დაიწყო მისი აღდგენა. დღეს საგარეჯო ცნობილია თავისი კულტურული და ისტორიული ძეგლებით, ულამაზესი ბუნებითა და ბალნეოლოგიური კურორტით - უჯარმით. რაიონში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით

მევენახეობა და მეცხოველეობა. ტურისტებს იზიდავს მდიდარი ისტორია, ეკლესიები, მონასტრები და ფერადი უდაბნოები.

5. **მუნიციპალიტეტების მახასიათებლები**:

შიდა ფაქტორები - მარნეულის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების საქმიანობა უფრო და უფრო ეფექტიანი და მოქალაქეების საჭიროებების შესაბამისი ხდება მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებისა და სხვადასახვა ფაქტორების სწორი ადმინისტრირებით.
ორივე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მზარდია და იძლევა ინოვაციური პროექტების თანამონაწილეობითი თუ სრული დაფინანსების საშუალებას, ხოლო ფონდების მოძიების უნარ–ჩვევა საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფონდების ფინანსური შესაძლებლობები გამოყენებული იქნას მარნეულის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.
ინოვაციური მიდგომების განხორციელებაში ხელს გვიწყობს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული და ტექნიკური შესაძლებლობები, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ეფექტიანი მენეჯმენტი.

გარეშე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე ხელსაყრელია სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს და ორი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო მაგისტრალი, რომლებიც სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან აკავშირებს.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა და მევენახეობა. მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეღვინეობის დარგები და მეფრინველეობა. საგარეჯოში არსებული სეგმენტის ქარხნები ქმნიან სამუშაო ადგილებს. აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი და დედაქალაქთან სიახლოვე. საგარეჯოზე გადის კახეთის ცენტრალური მაგისტრალური გზა და სარკინიგზო გზა რაც ერთი-ორად ზრდის მის გეოგრაფიულ მნიშვნელობასა და ეკონომიკურ პოტენციალს.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

- **გამოწვევა** - ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერება, კულტურული და ტექნოლოგიური ინოვაციების ერთმანეთთან დაკავშირება, პლატფორმის მართვა და

განვითარება, ეკონომიკური და სოციალური ეფექტი, გლობალური და ადგილობრივი ჩართულობა.

- **წარსული გამოცდილება** - მრავალფეროვანი კულტურული და ტექნოლოგიური ღონისძიებების ორგანიზება, პარტნიორობის ფორმირება საერთაშორისო დონეზე, ეკოლოგიური და ეკონომიკური მიდგომები.
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - სტაბილურობა და განვითარება მუნიციპალიტეტში რაც გააძლიერებს მის მონაწილეობას საერთაშორისო დონეზე.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
- პროექტი „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმა“ მიზნად ისახავს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერებას, კულტურული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების დაკავშირებას და ამ პროცესის განვითარებას, რაც ადგილობრივი და გლობალური ჩართულობის გაძლიერებას ემსახურება. პროექტის ფარგლებში პირველი საერთაშორისო ფორუმი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა, ფორუმი მოიცავდა კულტურის, ღვინის წარმოების და თანამედროვე ტექნოლოგიების ურთიერთობების განხილვას და ამ მიმართულებებით ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებს. ღონისძიების მთავარ მიზანს სხვადასხვა ქალაქებს შორის თანამშრომლობის და ურთიერთობების განვითარება, წარმოადგენს რაც არამხოლოდ კულტურულ, არამედ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საკითხებზეც ახდენს გავლენას. ფორუმში მონაწილეობდა 150 დელეგატი. აქედან მსოფლიოს 15-მდე ქვეყნის 40 წარმომადგენელი. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, მარნეულისა და საგარეჯოს ბიზნეს და კულტურის წარმომადგენლები. სახელმწიფო სტრუქტურებიდან მოწვეული სტუმრები.
- მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმი მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ორი მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის ისტორიაში, რაც პირველ პრეცედენტს ქმნის ამ მიმართულებით. მემორანდუმი ასახავს ორი მუნიციპალიტეტის საერთო მიზნებსა და ხედვებს, რაც ორიენტირებულია როგორც კულტურული, ისე ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობაზე.

  აღსანიშნავია, რომ მარნეულის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები არიან ევროპის საფესტივალო ქალაქების ასოციაციის (EFA) წევრები, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მათ პოზიციონირებას საერთაშორისო არენაზე. ამ თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმა“, რომელიც ორი მუნიციპალიტეტის კულტურული იდენტობის

შენარჩუნებას, ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობას ემსახურება.

მემორანდუმის ფარგლებში, მარნეულს, როგორც ღვინის აკვანსა და საგარეჯოს, როგორც 8000 წლოვანი ღვინის ტრადიციების გამგრძელებელ მუნიციპალიტეტს შორის, უკვე მიმდინარეობს გამოცდილების გაცვლა მევენახეებისა და მეღვინეების ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას და ხარისხის გაუმჯობესებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას, რაც მარნეულსა და საგარეჯოს საერთო მახასიათებელია. ორივე მუნიციპალიტეტი აქტიურად უზიარებს ერთმანეთს გამოცდილებას ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და თანასწორობის კუთხით, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი კავშირის გაღრმავებას.

მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმი ნიმუშია მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობისა, რომელიც გაძლიერებასა და განვითარებისკენაა მიმართული. ეს დოკუმენტი არა მხოლოდ ორი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, არამედ საერთო კულტურული და ეკონომიკური მიზნების მიღწევას ემსახურება.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** 2023 – 2024 წელი;
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** დოკუმენტაცია იხილეთ დანართის სახით.
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** პროექტში აქტიურად ჩართულნი იყვნენ, აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბი; მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო კულტურული პროგრამების ბიურო, ევროპის საფესტივალო ქალაქების პლატფორმა.
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ფორუმს ფინანსური მხარდაჭერა მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები, ხოლო კოორდინირებას კავკასიის საერთაშორისო კულტურული პროგრამების ბიურო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „იუნესკოს კათედრა“ უწევდა.
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლები; აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; კავკასიის საერთაშორისო კულტურული პროგრამების ბიურო. ფორუმში მონაწილეობდა 15 ქვეყნის დელეგაცია. ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებიდან მოწვეული სტუმრები.
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტების ბიზნეს სექტორისა და კულტურის წარმომადგენლების ჩართულობა; პოზიციონირება საერთაშორისო დონეზე: კონკრეტულად ევროპის საფესტივალო ქალაქების პლატფორმის ჩართულობა; მულტიმედიური კომუნიკაცია და PR კამპანია; სწორი მართვის სტრატეგიები და ლოგისტიკა; შედეგების და ეფექტის დოკუმენტაცია.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტი გახდა წარმატებული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს შორის. „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმა“ არის ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც გლობალურ და ადგილობრივ დონეზე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების პოზიციონირებას და ტურისტულ-ეკონომიკური მიმართულებით მათ განვითარებას. აბრეშუმის გზის კულტურის ჰაბი კი, უზრუნველყოფს არა მხოლოდ კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას, არამედ ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების დანერგვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ქალაქების განვითარებისთვის.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** საერთაშორისო დონის თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტების პოტენციალის შესახებ არსებული ცნობების ფართო სზოგადოებისთვის გაცნობა.
- ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის **შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

  ა) პროექტის გამართვა საერთაშორისო დონეზე და ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა გაცილებით ეფექტურად საშუალებას აძლევს რეგიონებს გააზიარონ გამოცდილება, შეიმუშაონ ერთობლივი პროექტები და მიიღონ გლობალური სარგებელი.

  ბ) ტექნოლოგიებისა და კულტურის ურთიერთკავშირი არა მხოლოდ ტრადიციული ინდუსტრიების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ახალი, ინოვაციური მიდგომების დანერგვასაც

გ) მომავალი თანამშრომლობისთვის ამზადებს საფუძველს: მსგავსი საერთაშორისო ფორუმები და გამოცდილებების გაცვლა კიდევ უფრო დაახლოებს რეგიონებსა და ქალაქებს, ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ განვითარებას და ახალი ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

დ) გაფართოების შესაძლებლობა: პროექტის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია მის გაგრძელებასა და გაფართოებაზე სხვა ქალაქების და რეგიონების დონეზე, სადაც შესაბამისი ინიციატივების იმპლემენტაცია გახდება შესაძლებელი.

10. საკრებულოს როლი:

- დადებითი; ორივე მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები კომპეტენციის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ პროეტში და მხარს უჭერდნენ მის წარმატებით განხორციოელებას.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მსგავსი ფორუმების ჩატარების პრაქტიკაში დანერგვა და საერთაშორისო თანამშრომლობების გაფართოება. გაცვლითი პროგრამები. მუნიციპალიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებებით.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** დავით ჭიკაძე, მარნეულის მერიის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, 577130232; d.chikadze@gmail.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: მამუკა შუბითიძე - მარნეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, 591 919 334; shubitidze85@gmauil.com ; დავით ჭიკაძე, მარნეულის მერიის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, 577130232; d.chikadze@gmail.com;
  ქეთევან გრატიშვილი - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილების უფროსი 551 700227 Ketevangratiashvili@gmail.com

  იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

განაცხადის მიღების ვადაა 2024 წლის 1 ოქტომბერი - 20 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 577734 nzurabishvili@nala.ge

ლინკები:

მემორანდუმები: გაწევრიანება EFFA- ში, ბერლინის კონფერენცია, მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი:

https://www.facebook.com/photo/?fbid=619747703523665&set=a.619752170189885

https://www.facebook.com/photo/?fbid=734349928730108&set=a.734352185396549

https://www.facebook.com/photo/?fbid=760315869466847&set=a.760319556133145

Silk road culture hub

https://www.facebook.com/profile.php?id=61552997734324

ფორუმი

https://www.facebook.com/photo?fbid=787308570100910&set=pcb.787264210105346

ვიდეო ფორუმის შესახებ:

https://www.facebook.com/61552997734324/videos/1460983461174427

ჩინეთის დელეგაციის ვიზიტი - ფორუმის გაგრძელება: საქართველო-ჩინეთის ერთობლივი ფორუმი: „განათლება, კულტურა, ბიზნესი“. ღონისძიების მიზანი იყო განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, ასევე ბიზნესისა და სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება.

https://www.facebook.com/photo/?fbid=948903137274785&set=pcb.948964997268599

ვიზიტი ჩინეთში: **ფორუმის შედეგები**

https://www.facebook.com/photo?fbid=901321632032936&set=a.901328232032276

https://www.facebook.com/photo?fbid=901992428632523&set=a.901994818632284